

გელა (ბაჩი) ლეჟავა

# ფინალი

პიესა ერთ მოქმედებად

საკონტაქტო ნომერი : 599141458

მოქმედნი პირნი:

ვასო - მომაკვდავი

ტარო - ვასოს უფროსი ვაჟი

ნესტანი - ვასოს შუათანა ქალიშვილი

ყარო - ვასოს უმცროსი ვაჟი

თამარი - ვასოს მომვლელი

მანანა - ყაროს მეუღლე

ბუთხუზა - ნესტანის მეუღლე

სიო - ყაროს მეგობარი

ლიუდა - ვასოს საყვარელი

ინკასატორი

ქეთო - ვასოს მეუღლის სული

ჯუმბერი - ტაროს მძღოლი

(ბინაში შესასვლელი კარი ღიაა, პატარა დერეფნიდან დიდ ოთახში შევდივართ. პირდაპირ დიდი ძველებური ბუფეტი დგას, გვერდზე როიალი, ცენტრში დიდი მრგვალი მაგიდა, რომელსაც გარშემო სკამები აქვს შემოწყობილი. მარჯვნივ, ოთახის კუთხეში პატარა მაგიდა და ორი სკამი დგას. მაგიდაზე ვერცხლის ლანგარში ჩაწყობილი წითელი ვაშლებია. მარჯვნივ დიდი ტახტია, რომელზეც თეთრ ზეწარ გადაფარებული მამაკაცი წევს გაუნძრევლად. ოთახში ხნიერი ქალბატონი თამარი დაფუსფუსებს. შემოდის მანანა)

მანანა - აუუ, მომკვდარა ეს უბედური!

(შემოდის თამარი)

თამარი - რომელი ხარ შვილო?

მანანა - მანანა ვარ, ყაროს ცოლი. თქვენ?.. იუმე, დეიდა თამარ, უცებ ვერ გიცანით. (ჩაეხუტება თამარს და თან ქვითინებს) თქვენ რომ დარეკეთ იმ წამსვე გამოვქანდი... როგორ ვერ მოუსწარი ცოცხალს?! ყარო გაგიჟდება...

თამარი - ცოცხალია შვილო, უგონოდაა.

მანანა - ცოცხალია?!

თამარი - გუშინ გამოწერეს საავადმყოფოდან. ექიმმა, ორ დღეს თუ გაატანსო, წაიყვანეთო, წამოვიყვანე, სახლში მაინც დალიოს სული ამ საცოდავმა.

მანანა - ხო, სახლში ჯობია. (ოთახს ათვალიერებს) ველარ ვცნობ აქაურობას.

თამარი - აბაკელიების ბინა შემოიერთა, ჭიჭიკო მოკვდა საწყალი. არავინ ჰყავდა იმ უბედურს, ვასო უვლიდა ხომ გახსოვს? ჰოდა დაუტოვა ბინა.

მანანა - კი, მახსოვს. ჭიჭიკოს ჩვენც ვუვლიდით.

თამარი (ირონიულად) - კი, უვლიდით მახსოვს. ვასოსას უვლიდით.

(ბინის გამოღებულ კართან ნესტანი და ბუთხუზა გამოჩნდნენ. ბუთხუზა ოფლს იწმენდს, ძლივს სუნთქავს).

ნესტანი - კარი რატოა ღია?

ბუთხუზა - ვერ მოუსწართ, მომკვდარა...

ნესტანი - ვაიმე, მამიკო... მამა... ტაროს დაურეკე ბუთხუზ, ჩქარა.

(ბუთხუზა სასწრაფოდ იღებს მობილურს ჯიბიდან და რეკავს. ნესტანი მამა დაინახავს)

ნესტანი - მამიკო, როგორ ვერ მოგისწარი ციცხალს...

მანანა (მანანა ნესტანთან მიდის და ეხუტება) - ცოცხალია ნესტან, დამშვიდდი. გონზე აღარ არის, ორი დღე დარჩენია საწყალს, ასე უთქვამს ექიმს.

ნესტანი - ცოცხალია? აბა კარი რატომ არის ღია?

თამარი - ძალიან ცხელა შვილო. ოთახს ვანიავებ.

ნესტანი - დეიდა თამარ? ვერც კი შეგამჩნიეთ. როგორ ხართ?  
(ეხუტება დეიდა თამარს)

თამარი - დავბერდი, დავილალე.

ნესტანი (ბინას ათვალიერებს, ოთახებს ითვლის) - ერთი, ორი, სამი... კარგად გაფართოვებულა მამიკო. (თამარს) ალბად ძალიან დაგლალათ, მძიმე ხასიათი ჰქონდა.

თამარი - ჯერ აქვს კიდეც, წარსულში რატომ იხსენიებ?

(შემოდის ბუთხუზა, ყველას თავს დაუკრავს, ოთახს მოათვალიერებს და პატარა მაგიდასთან მდგარ სავარძელში მოთავსდება, ვაშლს ჩაკბეჩს)

ბუთხუზა - რა ცხელა...

ნესტანი - ტაროს ელაპარაკე?

ბუთხუზა - კი.

ნესტანი - რა უთხარი?

ბუთხუზა - გადაიცვალათქო.

ნესტანი - ცოცხალია ბიჭო! შეიძლება ორ დღეში მოკვდესო.

ბუთხუზა - არაუშავს, მაინც ხომ უნდა მოვიდეს. ის მაინც მოუსწრებს ცოცხალს, ჩვენ უკვე გამოვიტირეთ. (ისევ ჩაკბეჩს ვაშლს)

ნესტანი - რატომ აქამდე არ დარეკეთ დეიდა თამარ?

შევრიგდებოდით სანამ გონზე იყო, ახლა დარდად გაჰყვება იქ...

თამარი - დავრეკე, ხან ვის დაუბარე ხან ვის. თქვენ არ გამოჩნდით და...

ნესტანი - ხო... ეტყობა არ ვიყავით აქეთ.

მანანა - არც ჩვენ.

თამარი - ყავას მოგიდულერბთ.

მანანა - მოგეხმარებით.

(მანანა და თამარი გადიან. ნესტანი ბუფეტთან მიირბენს, უჯრას გამოაღებს და რაღაცას აქტიურად ეძებს. ბუთხუზა ვასოსთან მიდის, მაჯას გაუსინჯავს)

ბუტხუზა - ოჰ ოჰ ოჰ!

ნესტანი - რა იყო?

ბუთხუზა - არითმია აქვს. (სავარძელს უბრუნდება, ვაშლს ჩაკბეჩს და მძიმედ ამოისუნთქავს).

ნესტანი - (უჯრებში იქექება) კიდევ კარგად არის.

(შემოდის მანანა, ყავიც ფინჯნებს მაგიდაზე დაალაგებს)

მანანა - რას ეძებ ნესტან?

ნესტანი - (შემცბარი) საათს

მანანა - რომელ საათს? ააა, ბაბუს იმ ოქროს საათს? ყველას რო...

ნესტანი - (აწყვეტინებს) ხო გოგო, ოცდაათი წლის წლის წინ მითხრა მამიკომ, ეს ჩემი ყველაზე ძვირფასი ნივთია და შენმა დათუნამ მინდა ატაროსო.

მანანა - დათუნა ჯერ ოცდახუთის არ არის და ოცდაათი წლის წინ როგორ გითხრა?

ნესტანი - ისაა... დათუნამ კი არა, პირველი შვილიშვილი რომ მეყოლება იმას დარჩეს ჩემი სიკვდილის შემდეგო. პირველი შვილიშვილი დათუნა არ არის?

მანანა - ჯერ ხომ არ მომკვდარა?

ნესტანი - ხომ მოკვდება როცა იქნება? რა შემჭამე ამდენი შეკითხვებით. რა მნიშვნელობა აქვს, მაინც ვერ ვპოულობ. თამარს ვკითხოთ.

(შემოდის ტარიელი, სოლიდურად ჩაცმული, თმაშევერცხლილი მამაკაცი. მარჯვენა ხელზე პიჯაკი აქვს გადაკიდებული, მარცხენა ხელში ხელსახოცი უჭირავს და თვალებს იწმენდს)

ტარო - ეხ, არკადიჩ შე საცოდავო...

ნესტანი - (ტაროსთან მიდის, ეხუტება და ტირის) - ცოცხალია ბიჭო, მოუსწარი, კომაშია და ექიმმა ერთ ორ დღეს თუ გაუძლებსო.

ტარო - ცოცხალია?! (გახედავს ბუთხუზას) აბა ამან დამირეკა მოკვდაო...

ნესტანი - ხო... ჩვენც ასე გვეგონა.

ტარო (თამარს შეამჩნევს) - დეიდა თამარ თქვენ?.. თქვენ კიდე აქ ხართ? (თამარს ჩაეხუტება)

თამარი - აბა სად წავიდოდი შვილო? რაც ბაბუათქვენმა ჩამომიყვანა სოფლიდან მას მერე ამ ოჯახს ვემსახურები. 65 წელი გავიდა, შევაბერდი ამ კედლებს.

ტარო - ხო. კედლები ცოტა გაზრდილა. შემოიერთებია ჭიჭიკოს ბინა?

თამარი - რაც თქვენ ჩხუბი მოგივიდათ წელიწადი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა... (ტაროს) სულ ხელში აყვანილს დაგატარებდი ბიჭო, ჩემთვის მაინც მოგეკითხა?

ტარო - დეიდა თამარ, დეიდა თამარ...

მანანა - დეიდა თამარ, ლოცვების წიგნი ხომ გაქვთ?

თამარი - კი შვილო, იქ არის კუთხეში, ხატებთან.

მანანა - ლოცვებს მაინც წაუკითხავ, სხვას ვერაფერს ვშველით  
(მიდის ხატებთან, იღებს ლოცვანს და იწყებს კითხვას)

ტარო - დეიდა თამარ, მართლა წელიწადი გავიდა?

თამარი - რა წელიწადი...

ტარო - აი... ისა... ჩვენ რომ გვეჩხუბა, აქ აღარ დაგინახოთო.

თამარი - როდის იყო ეგ თუ გახსოვს?

ტარო - კი, ვასოს დაბადების დღე არ იყო?

თამარი - დღესაც ვასოს დაბადების დღეა.

ტარო - აუჰ! რამდენის გახდებოდა ახლა ეს?

თამარი - კი არ გახდებოდა, უკვე გახდა.

(ნესტანი და მანანა ერთად შემობრუნდებიან)

ნესტანი და მანანა ერთდროულად - რამდენის?

თამარი - ოთხმოცის.

ტარო - სატირალში მოვედი და იუბილეზე აღმოვჩნდი.

თამარი - ეგეც ღვთის ნებაა.

(შემოდის ყარო. დისტროფიულად გამხდარი მამაკაცი.

გახეხილ ჯინსებზე ქამარი ბოლომდე აქვს შემოჭერილი, მაგრამ  
თეძოები მაინც უჩანს. მოკლემკლავიან მაისურზე ჰოლანდიის  
დროშა აქვს გამოსახული, ყელზე ცხვირსახოცი გამოფსკვნილი,  
თავზე კი ბენდენა აქვს წაკრული)

ყარო - ეე... მოკვდა ტოო?



მანანა (ლოცვების წიგნს დებს და ყაროსთან მიირბენს, ჩუმად) - მკვდარი შენ ხარ, ეს ჯერ კიდევ ცოცხალია. სად დაეთრევი ბიჭო? ეს მამაშენია თუ მამაჩემი?

ყარო (ისიც ჩუმად) - ხო, კარგი ეხლა, ნუ მიტრაკებ. არ იცი მაყუთს რო ვჩალიჩობ მთელი დღეა? აბა ბანკის ვალებს მამაშენი გადაიხდის?

მანანა - რისი მჩალიჩებელი ხარ ბიჭო? (ჩუმად) მაყუთი თუ გინდა აქ უნდა ტრიალებდე ამ კრიტიკულ მომენტში. უკ შე ცალტვინა...

ყარო - ვა, ტარო რავა ხარ ბრატ? ნესტიკ? სად დამეკარგეთ ტოო? (მიდის და ძმას ეხუტება) ბუთხუზ პრივეტვ (ხელს აუწევს) როგორ გასუქებულხარ? გივლის არა ჩემი დაიკო? (ბუთხუზა ვაშლს ჩაკბეხს და ისიც ხელს აუწევს. როგორც კი ყარო თამარისკენ შებრუნდება, ხელს ჩაიქნევს) ტიოტია ტამარა შენ შემოგევლე, როგორ ბრძანდებით? (მივა ხელზე აკოცებს)

თამარა - შენ იყავი კარგად, მე არა მიშავს რა.

(შემოდის ჯუმბერი. ხელში ფურცელი უჭირავს. ოფლს იწმენდს, ძალიან სერიოზული სახით ყველას ჩამოუვლის და ხელს ჩამოართმევს. ტაროსთან გაჩერდება და მორიდებულად ბეჭზე მოუთათუნებს)

ჯუმბერი - ვიზიარებ ვასილიჩ...

ტარო - რას მიზიარებ ბიჭო?! ცოცხალია!

ჯუმბერი - ცოცხალი? აუჰ... ბოდიში...

ტარო - ეგ რა ფურცელი გიჭირავს ხელში?

ჯუმბერი - ქელების მენიუა... როგორც მითხარით ბუჩუკურთან მივედი "ლორგდში" და ხუთშაბათი დღე დაუკვეთე. თუ რამე აკლია აკლია მენიუში, ჩაამატონო. თუ გნებავთ წავალ და გადავაწევინებ.

ტარო (შუბლში ხელს შემოირტყავს) - მოიცა ბიჭო, ჯერ რა იცი რა ხდება? ცოტა დავიცადოთ.

ნესტანი - რა ვქნათ ახლა? ვიჯდეთ ასე? მოვემზადოთ, რამდენი ხალხი მოვა... ოთახის შუაგული გავანთავისუფლოთ, ეს დიდი მაგიდა გადავაჩოჩოთ, სკამები წრეზე ჩამოვამწკრივოთ, (მიდის როიალთან, აწვება, მერე ჯუმბერს მიუბრუნდება) მომეხმარე ერთი გენაცვალე. (ჯუმბერი მიდის, ქელეხის სიას როიალზე დებს და ერთად აწვებიან)

მანანა (ბუფეტს ეჯაჯგურება, ყაროს) - მოდი ბიჭო მემეხმარე (ერთად აწვებიან, ზვრა არ არის. ბუთხუზას) - მოდი რა მოგვეხმარე

(ბუთხუზა ჩაკბეჩილ ვაშლს მაგიდაზე დებს და ბუფეტს დამრავს ისე რომ ყაროც ზედ გაყვება, ბუფეტიდან მრგვალი რკინის ბურთივით მასა გადმოგორდება და ყაროს ფეხზე ეცემა, გაგორებული ბურთი ტაროს ფეხებთან ჩერდება, ტარო ბურთს ხელში აიღებს)

ყარო - (ბუთხუზას) ნელა, ჯანზე ხარ ტო? ვაი! ფეხი!

ტარო - პიკასოს ბურთი?

ყარო - ვისი ბურთი?

ტარო - პიკასოს ბურთი. ძვირად ღირებული ანტიკვარია. ბაბუა არკადის აჩუქა შეიხმა. მიურატების პრინცის კოლექციიდან არის, რა ნამუშევარია ხედავთ? ნახე სად შეუნახიათ?

ყარო - მომეცი, ეგ ჩემია.

ტარო - შენი რატოა?

ყარო - იმიტომ რომ მე დამეცა ფეხზე, ესეიგი მე ვიპოვნე.

ტარო - ძალიან ლოგიკურად აზროვნებ, შე კრეტინო.

ყარო - ხო, კარგი, მაშინ 50 ლარი მასესხე (ნატკენ ფებს იზელს)

ტარო - ჩემი ვალი უკვე 500 გაქვს.

ყარო - რენტგენი არ გადავიღო? მტკივა ტო... 50 ლარი ღირს. ხვალ ზეგ სულ გავსწორდებით. ჩემი წილიდამ ჩამომაკელი ბრატ.

ტარო - აი ვინც შენ ყარამანი დაგარქვა იმის... (მომაკვდავ ვასოს გახედავს და ხელს ჩაიქნევს) აჰა, აილე და შენი ხმა არ გავიგო (ყაროს ფულს აძლევს)

ყარო - ეგრე რაა, ჩემი ძმა ხარ! "ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო" (ფულს მაღლა ააფრიალებს)

(შემოდის ინკასატორი)

ინკასატორი - (მიმოიხედავს) უკაცრავად, მიცვალებული გყოლიათ, ცუდ დროს მოვედი. კარი იყო ღია და... ბოდიში, სხვა დროს იყოს...

ტარო - რა გნებავთ ბატონო?

ინკასატორი - გაზიდან ვარ, მრიცხველის ამონაწერი მინდოდა...

ტარო - მიბრძანდით და ამოწერეთ მერე.

ინკასატორი - კარგით, ბოდიში (დერეფანში გადის, მერე ისევ თავს შემოყოფს ოთახში) ოჯახის უფროსი ვინ არის?

სამივე და ძმა ერთად - მე!

ინკასატორი - მრიცხველი სად არის დამონტაჟებული?

(ყველა ერთმანეთს გადახედავს, მერე თამარს)

თამარი - სამზარეულოში, დერეფნის ბოლოს მარჯვნივ  
პირველი კარი, გაზქურის უკან.

ინკასატორი - გმადლობთ (გადის)

(ყარო სიგარეტს მოუკიდებს, ნესტანი მამისკენ მიანიშნებს)

ნესტანი - სად ეწევი ბიჭო, სად?!

ყარო - რა იყო, დაახველებს ეხლა მაგას თუ რა?

ნესტანი - დერეფანში!

(ყარო დერეფანში გადის. ნესტანი როიალის სკამს მიათრევს  
როიალთან და ჩამოჯდება. მერე თითქოს ეფერება)

ნესტანი - ჩემი როიალი...

ტარო - შენი რატოა?

ნესტანი - ფორტეპიანოზე რომ დავდიოდი ამაზე სისწავლე  
დაკვრა.

ტარო - შენ რომ ფორტეპიანოზე დადიოდი მაშინ პიანინო  
გვქონდა.

ნესტანი - რა მნიშვნელობა აქვს? აქ დაკვრა მარტო მე ვიცი (ერთ  
ნოტს აიღებს) რა ჟღერადობა აქვს?.. (იწყებს დაკვრას, თან  
მღერის ხმამაღლა და როიალთან მდგარ ჯუმბერს უღიმის) -  
"კახეთოო ჩემო კახეთოო..."

ყარო (დერეფნიდან შემორბის სიგარეტით ხელში) რას აკეთებ  
ტოო? სულ გარეკე?

ნესტანი (წყვეტს დაკვრას) - დედა... სულ გამოვშტერდი ისე  
შემიტყუა ამ ოხერმა...

ინკასატორი (თავს შემოყოფს ოთახში) - მშვიდობა მოგცეთ  
ღმერთმა. კარგად ბრძანდებოდეთ (გადის)

(რეკავს ყაროს ტელეფონი)

ყარო - ხო სიო... მამაჩემი კვდება და მანდ ვარ... სად?.. არა სად  
მოხვალ ტოო?.. მოიცა... გამითიშა, აუუ...

მანანა - ვინ იყო?

ყარო - სიო.

მანანა - რა უნდოდა?

ყარო - არაფერი, მოვალ გვერდზე დაგიდგებიო, მამა გიკვდება  
არ ვიცოდით...

მანანა - ეხლა არ გამარეკინო... (თამარს მიუბრუნდება)  
ვინტილიატორი არ გაქვთ?

თამარი - მანდ არის, კარის უკან.

მანანა (ჩართავს ვინტილიატორს და მომაკვდავ ვასოს  
მიუშვერს) თვითონ ხომ ვერ გვეტყვის რომ ცხელა?

ნესტანი (ტაროს) - რა მზრუნველი რძალია?

ყარო - რას აკეთებ ქალო? გაციება აკლია ეხლა მაგას? აქეთ  
მოგვიშვირე ტო.

მანანა - უი, მაგაზე აღარ მიფიქრია. (შემოაბრუნებს)

ყარო - ეგრე რაა.

ტარო (ქელეხის სიას როიალიდან აიღებს და ყველას დიდი  
მაგიდისკენ მიანიშნებს) - ყველანი დასხედით აქ, ვნახოთ აზა  
ერთი რა ამოვიღოთ, რა ჩავამატოთ?

ნესტანი - მე წავიკითხავ. (ტაროს სიას გამოართმევს) ლობიო  
ამოლესილი, ლობიო ცხლად, თევზეული...

მანანა - ლობიო ნიგვზიანიც ჩაამატე, ვგიჟდები ნიგვზიანზე.  
(ნესტანი ამატებს)

(შემოდის სიო, შუახნის მამაკაცი. მარჯვენა ხელი, რომელშიც ცხვირსახოცი უჭირავს, ცოტა უკანკალებს)

სიო - გამარჯობათ.

ყარო (სიოსკენ მიდის, ხელს გადახვევს და მაგიდისკენ მიყავს) -  
ეს ჩემი ძმაცაა, სიო. შეწუხდა ეს ამბავი რომ გაიგო და  
მომაკითხა.

სიო (ყაროს ჩუმად) - ვინ არის შენი ძმაცა? წამალი სად არის?  
დაგბრიდავ შე ახვარო! (ჯდება მანამაღმდეგ)

ნესტანი - ვაგრძელებ, ლოქო ქინძმარში, სკუმბრია, ცოცხალი...

სიო (ჩუმად ყაროს) - რამე მოიფიქრე, ცუდად ვარ...

ყარო - დეიდა თამარ, საპირფარეშო ისევ იქ არის?

თამარი - არა, დერეფნის ბოლოს მარცხნივ.

(სიო და ყარო დერეფნისკენ მიდიან)

სიო - ბოდიში, წნევის წამლებს ვსვავ და... (გადიან დერეფანში)  
მამა გიკვდება არა შე ახვარო? გაიკეთე ხო? კარგად ხარ არა?  
მოიტა ჩემი და პეტოს ზახოდი!

ყარო - მე და შენ გავიკეთოთ ტო.

სიო - შენ ხომ გაიკეთე?

ყარო - არ მეყო, ხო ხედავ რა სიტუაცია მაქვს... ვნერვიულობ.

სიო - პეტოს რა უყოთ? (თავში ჩასცხებს) უუ, შე ფარჩაკო  
მორფინისტო. მომეცი!

ყარო - არა. პეტომ რომ გადამაგდო შარშან? არ გახსოვს დედა რომ უკვდებოდა? ახლა მე მიჭირს.

სიო - ხო კარგი, შეეთრიე (შედიან საპირფარეოში)

ნესტანი - ბადრიჯანი ნიგვზით, ფხალის ასორტი, ეკალა, კარტოფილის ბლინები...

(სიო და ყარო ბრუნდებიან და ჯდებიან მაგიდასთან)

სიო - უკაცრავად, ხელი შეგიშალეთ.

ყარო - გააგრძელე ნესტიკ

ნესტანი - მჭადები, შილა სოკოთი, ლიმონათი...

ტარო - რა სოკოთი? რა ლიმონათი? ხაშლამა, ხაჭაპური, ქათამი... ეგენი არ წერია?

ჯუმბერი - მარხვაა ვასილიჩ...

ტარო - ამდენ ხალხს ბალახი ვაჭამო? სამარხვო იყოს და უმარხვოც.

სიო - ხო, შეიძლება ეგრე, გუშინ ჩემმა მეზობელმა ცოლი დამარხა, მამაოს 50 ლარი ჩაუდო და კურთხევაც მიიღო.

ტარო - ხო და ძალიან კარგი. შენ მაგ მამაოს მობილურის ნომერი გამიგე, დანარჩენს მივხედავთ.

სიო - დღესვე გავიგებ.

ტარო - ჯუმბერ, შენ წადი ტორტი იყიდე, 2 ბოთლი შამპანური, სიმბოლურად... დღეს ვასო 80-ის გახდა (ჯუმბერს ფულს აძლევს)

ნესტანი - და სანთელი რვიანი და ნული.

ჯუმბერი - კარგით ვასილიჩ (გადის)

ნესტანი - რამდენ კაცზე უთხარი?

ტარო - 150-ზე.

ნესტანი - ცოტაა

ტარო - მაგის ასაკის ყველა მოკვდა, მეტი ვინ მოვა?

ნესტანი - ჩვენ არ გვყავს მეგობრები?

მანანა - ან ჩვენ?

ტარო - ხოდა დანარჩენი თქვენ გააკეთეთ. მე მეტის საშუალება არ მაქვს.

ნესტანი - რატომ შენ? ვასოს თავის დასამარხი ფული არ ექნება დატოვებული?

(უცებ ყარო სკამიდან გადავარდება და მოწყვეტით იატაკზე ეცემა. ყველა მიცვივდება, სკამზე სვავენ. სიო ჯიბიდან დანას იღებს, ხსნის და ცდილობს კრიჭა გაუხსნას)

მანანა (მშვიდად) - ფეხებით დაიჭირეთ და ამოაყირავეთ, თავი ქვევით ქონდეს სისხლმა რომ იმოძრაოს.

ტარო - შენ რა იცი?

მანანა - მაგის მეტი რა ვიცი? გააკეთეთ.

(ბუთხუზა ყაროს ფეხებში ხელს მოკიდებს და ამოაყირავებს)

ნესტანი - სასწრაფოს დაურეკავ.

მანანა - არ გაბედო! სასწრაფოს პოლიცია მოყვება.

სიო - მაინც გაღორდა ტო.

მანანა - შე მართლა ღორი... (თხლიშავს სიოს სილას)

სიო - მე რა შუაში ვარ? (ჩუმად იპარება)



მანანა - (ბუთხუზას) - თხლიშე აბა ერთი.

(ბუთხუზა ყაროს სკამზე დასვავეს და ღონიერ სილას გაარტყავს.  
ყარო თვალებს ახელს)

ყარო - ეე, რას მირტყავ ბიჭო... აზრზე მოდი?!

მანანა - გამოვიდა, გადავრჩით.

ტარო - კარგად ხარ ბიჭო?

ყარო - საკაიფოდ ტოო, ცუდად რატო უნდა ვიყო?

ტარო - მკვდარი იყავი, ძლივს გამოგიყვანეთ.

ყარო - კომპოტი მინდა, ტკბილი.

ტარო - ნორმალურია ეხლა ეს?

ნესტანი - კარგით საქმეზე გადავიდეთ, გადავრჩით. დეიდა  
თამარ, ფული სად აქვს შენახული ვასოს? თქვენ გეცოდინებათ.

თამარი - ფული რაც ბანკში აქვს, მინდობილობა ჩემზეა, სხვა  
ფული მე არ ვიცი.

ტარო - თქვენზე რატომ გააფორმა?

თამარი - აბა თქვენ არ ელაპარაკებოდით ერთმანეთს...

წელიწადია არ გინახავთ.

ნესტანი - რამდენი იქნება?

თამარი - საკმაოდ, ზუსტი ციფრი არ ვიცი.

(ყარო მიდის წიგნების თაროსთან და რაღაცას ეძებს\_

ტარო - რას ეძებ?

ყარო - მაყუთს. წიგნებში უყვარდა დამალვა.

ტარო - ააა, შენ პარავდი ხო? საწყალი სულ ფულს ეძებდა..

ყარო - კარგი რაა...

ტარო - დეიდა თამარ, ანდერძი არ დაუტოვებია?

თამარი - არ ვიცი, ჩემთვის არ ყოქვამს.

ტარო - ანდერძი მოვძებნოთ. ბანკში ხვალ მივიდეთ ერთად  
(მიდის ბუფეტთან და უჯრებში იქექება)

ნესტანი - ანდერძი... მაგაზე არც მიფიქრია. მანდ არ არის  
ტყუილად ეძებ.

ტარო - რა იცი.

მანანა - არკადის საათს ეძებდა მანდნ და ვერ იპოვნა.

ტარო - თქვენ გადაგიქექიათ აქაურობა, უჩემოდ.

(ყველა დამოუკიდებლად იწყებს ანდერძის ძებნას. შემოდის  
ლიუდა. ვულგარულად ჩაცმული ქალბატონი კარგად  
გამოიყურება, გატეხილი ქართულით საუბრობს)

ლიუდა - გამარდჟობა. საცკალი ვასო, ნე უსპელა და?

ტარო - თქვენ ვინ ბრძანდებით?

ლიუდა - მე ვასოს ცოლი, აი საბუტი. მეზობელი დარეკა, ვასო  
კვდება, ეგრევე პრელეტელა ს ვორონეჟა.

ტარო (ნესტანს) - ეს ის ბოზი არ არის, დედის სიკვდილის მერე  
რო დაეთრეოდა ვასოსთან?

ნესტანი - მგონი ეგ არის. ვაი, ვაი, ამასთან მოაწერა ხელი?  
ბრუნავს დედა ალბათ საფლავში.

ყარო - მოიცა ტოო, თქვენ ამბობთ რომ ეს ნაშა დედათ  
მეკუთვნის?

ტარო - დაახლოებით.

ყარო - აი ეხლა უნდა თქვა კაცმა - ჩემი დედას შევეციო.

თამარი - ლიუდა, გამოჩნდი როგორც იქნა?

ლიუდა - ტიოტია ტამარა, ცოცხალი კარ?

თამარი - შენთვის არა! ამ თახსირმა 20 წლის წინ, მამათქვენს სიმთვრალეში ხელი მოაწერინა, მერე გაქურდა და დაიკარგა. ვასომ პოლიციაშიც დარეკა, ვინ არ შეაწუხა, ბოლოს დაუსწრებლად გაყრა მოითხოვა და დაუკმაყოფილეს სარჩელი. ეს კი 20 წელია ძებნაშია. ვინ იცის კიდევ ვინ გაამწარა. ახლავე დარეკეთ პოლიციაში! გამოამწყვდიონ იქ სადაც საჭიროა. ვასოს კანონიერი ცოლი მე ვარ! (ტამარი ბუფეტის ზედა თაროდან საბუთს იღებს და მაგიდაზე დაახეთქებს) შარშან მოვაწერეთ ხელი, რა თქმა უნდა ფიქტიურად, ასე ისურვა ვასომ.

(ყველა საბუთს ათვალიერებს. ბუთხუზა, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა, ბოლო ჩაკბეჩილი ვაშლის ყუნწს ლაკგარზე დააგდებს და თამართან მიდის)

ბუთხუზა (თამარს) - თქვენ შვილები გყავთ?

(შემოდის ჯუმბერი ტორტით და შამპანურებით ხელში. ყველაფერს როიალზე ალაგებს. ტორტის ყუთს ხსნის და ტორტში 8 და 0 სანთლებს ჩაარწობს)

ჯუმბერი - ესეც ასე

(ყველა ჯუმბერს უყურებს. ამასობაში ლიუდა ფეხსაცმელებს იხდის და უხმოდ იპარება. ტამარი ტორტთან მიდის და სანთლებს ანთებს)

თამარი - გახსენით შამპანური, დღეს მამათქვენის დაბადების დღეა!

(ტარო ნერვიულად ხსნის შამპანურის ბოთლს და ფუჟერებში ასხავს)

თამარა - ვასოს გაუმარჯოს!

(ოთახში ვიღაც ხმამაღლა დაახველებს. ყველა ვასოს საწოლისკენ იხედება... საწოლზე ვასო წამომჯდარა. ხელში კალამი და თაბახის ფურცლები უჭირავს. თავისთვის რაღაცას ბუტბუტებს)

შვილები (ერთხმად) - მამაა?!

ყარო (მიუახლოვდება) - გაცოცხლდი ტო? ტარო, ეს ცოცხალია თუ მე ვარ მაგრად?

(ტარო გაქვავებული დგას და ხმას არ იღებს)

ვასო - ოჰ, ყარამან აქ ხარ? რას დამსგავსებხარ შე საცოდაო?

ყარო - მე კი არა შენ რას დაემსგავსე? მართლა გაცოცხლდი ტო? რას აკეთებ?

ვასო - ფინალი არ მომეწონა.

ყარო - რა ფინალი?

ვასო - აი თითქოს ბოლომდე ყველაფერი ბუნებრივია, მაგრამ ფინალი ცოტა ყალბი მეჩვენება, გაცვეთილი.

ყარო - კარგი რა მამა, რა ფინალი? ტორტიც მოგიტანეთ, სანთლებიც დაგინთეთ, რაღა გინდა? ახლიდან უნდა გვაწვალო? დავიღალეთ რა...

ნესტანი - ხო რა მამა, დავიღალეთ. გვითხარი სად არის ანდერძი და ყველამ დავისვენოთ.

ყარო - ხო რა მამა. დედაჩემი ხო აწვალე და გააქცუნე დროზე ადრე, ეხლა ჩვენზე გადმოხვედი?

ვასო - ყოჩაღ ბიჭო! აი ეს არის ფინალი!...

(ვასო წამოვარდება საწოლიდან და ფურცლებს ააფრიალებს. სცენის უკანა კედელი იხსნება. ცისფერ ფონზე პერსპექტივაში ამავალ კიბე გამოჩნბა, კიბის ბოლოს ვასოს გადრაცვლილი მეუღლე დგას)

ვასო - ქეთევან?

ქეთო - მოდიხარ ბიჭოო?

ვასო - ხო, მოვდივარ. რა ხდება მანდ? როგორი ამინდია?

ქეთო - ცივია...

ვასო - უყურე შენ? აქ ცხელა. მოიცა საბანს წამოვიღებ. (ტახტიდან საბანს იღებს)

ყარო - სად მიდიხარ მამა?

ვასო - თქვენი დედიკო მეძახის.

ქეთო - საბანი აქ არ დაგჭირდება, აქ სხვა სითბოაა...

ვასო (საბანს დააგდებს) - აბა მშვიდობით!

ყარო - მამა, მანქანის გასაღები მაინც დამიტოვე...

ვასო - რად გინდა, ტარება მაინც არ იცი...

ყარო - შენ რად გინდა იქ?

ქეთო - დაუტოვე, ანდერძიც დატოვე, აქ არ გჭირდება

ვასო - გასაღები ჩემს უჯრაშია, ანდერძი ბუფეტის თავზე,  
ყანწში. აბა თქვენ იცით, წავედი.

(ტარო ანდერძს იღებს და თამარს აწვდის წასაკითხად,  
დანარჩენები თამარს შემოეხვევიან.... ვასო კიბეზე ასვლას  
იწყებს. მძიმედ ადის...

ფარდა



